



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 07 თებერვალი

**დისციპლინური საქმე №192/19-01
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

--- 2019 წლის 21 ნოემბრის №192 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 02 დეკემბრის №481/192-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ --- 2019 წლის 21 ნოემბრის №192 საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები

--- საჩივარში მიუთითებს, რომ მოსამართლე --- ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა. კერძოდ, --- შეფასებით, --- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ ---, მსჯავრდებულების --- და --- სს საქმის სააპელაციო განხილვის პროცესში, სრულყოფილად არ შეისწავლა სს საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ --- საქალაქო სასამართლოს მოსამართლის --- 2018 წლის 12 მარტის განაჩენით --- და --- ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

სასამართლოს შეფასებით, საქმეზე არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდა, რომ ბრალდებულებმა --- და --- ჩაიდინეს პირთა დამცირება და იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მათ ძლიერ ფიზიკურ ტკივილს და მორალურ ტანჯვას აყენებს, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად და დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის მიმართ.

---- საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს საქმეზე მსჯავრდებულთა ადვოკატმა ----, რომელმაც ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

---- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ---- 2018 წლის 29 ივნისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა ---- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 მარტის განაჩენი ---- და ---- მიმართ. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არის კანონიერი და დასაბუთებული, ხოლო დანიშნული სასჯელი არის სამართლიანი.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

მოსამართლე ---- ქმედებათა სამართლებრივი შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსსკ 292-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც აპელანტს უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მიაჩნია.

საქართველოს სსსკ 298-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო განაჩენით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს; ბ) აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს; გ) ცვლილება შეაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში; დ) უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე ---- მოქმედებდა საქართველოს სსსკ 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. კერძოდ, 2018 წლის 29 ივნისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა ---- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 მარტის განაჩენი ---- და ---- მიმართ. ამდენად, მოსამართლის ქმედებებში არ იკვეთება დისციპლინური გადაცდომის ნიშნები. მოსამართლე მოქმედებდა კანონის და შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული მოითხოვს

მტკიცებულებათა შინაარსობრივ შესწავლას, რაც სცილდება ინსპექტორის უფლებამოსილებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

---- 2019 წლის 21 ნოემბრის №192 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე ---- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი